საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/116

ქ. ბათუმი 19 მაისი, 2022 წ.

ბსუ-ში საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, ,,სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის N282 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენციის (MES 0 22 0000473539, 11/05/2022) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ში საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1.**საქართველოს სახელმწიფო დროშასთან** დაკავშირებით:

ა) საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად იყოს აღმართული ბსუ-ს შენობებზე;
ბ) საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო დროშა უნდა იყოს აღნიშნულ დროშაზე დიდი ზომის და აღიმართოს უფრო მაღლა;
გ) საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად სხვა ქვეყნის დროშის აღმართვის შემთხვევაში <u>საქართველოს სახელმწიფო დროშა</u> არ უნდა იყოს აღნიშნულ დროშაზე მცირე ზომის;
დ) საქართველოს **სახელმწიფო დროშის** ბსუ-ში **გამოყენების შემთხვევებში** (შენობებში, ტერიტორიაზე, ღონისძიებებზე) **და მისი მოვლა-პატრონობისთვის უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს კანონმდებლობის**, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის N282 დადგენილების **მოთხოვნათა შესრულება** (დაზიანებული, გაუფერულებული ან სხვაგვარად შელახული საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენება და სხვა აკრძალვების დაცვა);

1.2.საქართველოს სახელმწიფო გერბთან დაკავშირებით:

ა) საქართველოს სახელმწიფო გერბი სრული სახით განთავსდეს ბსუ-ს შენობების ფასადებსა და დასახელებების აღმნიშვნელ აბრებზე;
ბ) უზრუნველყოფილი იქნეს ბსუ-ში საქართველოს სახელმწიფო გერბის განთავსების ადგილების შერჩევა/რაოდენობის განსაზღვრა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აქტივობის განხორციელება.

1.3.. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნთან დაკავშირებით:

ა) საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი განთავსდეს ბსუ-ს შენობების ძირითად/მთავარ შესასვლელებთან, თვალსაჩინო ადგილებზე;
ბ) უზრუნველყოფილი იქნეს ბსუ-ში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის განთავსების ადგილების შერჩევა/რაოდენობის განსაზღვრა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აქტივობის განხორციელება;
გ) საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შესრულდეს სასწავლო წლის დაწყებისას და დამთავრებისას, ასევე ბსუ-ში გამართულ საქართველოს სახელმწიფო დღესასწაულებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებათა გახსნისას ან/და დახურვისას ან ძეგლების საზეიმო გახსნისას;

1.4. **საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების შემთხვევებში** (შენობებში, ტერიტორიაზე, ღონისძიებებზე) **და მისი მოვლა-პატრონობისთვის ბსუ-ს უფლებამოსილმა პერსონალმა და სტუქტურულმა ერთეულებმა** (ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა, რექტორის აპარატმა, დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურმა ან/და შესაბამისი ღონისძიებების გამართვაზე პასუხისმგებელმა სხვა სტრუქტურულმა ერთეულმა/პირმა) **უზრუნველყონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება.**

2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინამდებარე ბრძანების უმოკლეს ვადებში აღსრულების კონტროლი.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**